სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N124

ქალაქიბათუმი

30 ნოემბერი 2016წ

ერთის მხრივ ა(ა) ი.პ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის თამარ მესხიძის სახით და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე ლევან ირემაძე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნ-ქტის და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისგანსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის,,ა'' ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დო-კუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია: ,,დანართში მოცემული მუსიკალური ინსტრუმენტების შეკეთება (რემონტი) CPV - კოდი 50860000).

2.2 მუსიკალური ინსტრუმენტების ჩამონათვალი განისაზღვრება დანართის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2 დაფინანსების წყარო: ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს:** 1000 (ათასი) ლარს.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს 2016 წლის 10 დეკემბრამდე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიღება-ჩაბარებასახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია სასახლის დირექტორი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმითხელშეკ-რულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 15 დღის ვადაში.

7. გარანტია

7.1. გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ სტანდარტებს.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07პროცენტის ოდენობით.

9.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარიგადახრაანცვლილებახელშეკრულებისპირობებშიარდაიშვებაორივემხარისმიერხელმოწერილიწერილობითთიშესწორებებისგარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულებაძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან (მხარეთა ხელმოწერის დღიდან) და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ა.ა.ი.პ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
გამსახურდიას ქუჩა N37

ს/კ 445 404 820

მიმწოდებელი:
ინდ. მეწარმე ლევან ირემაძე
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
სოფელი წინსვლა
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
პ/ნომერი 58001009443
მფო LBRTGE22
ა/ა GE91LB0112123915695000

თამარ მესხიძე
დირექტორი

ლევან ირემაძე
ინდ. მეწარმე

2016 წლის 30 ნოემბრის # 124 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დანართი

	ინსტრუმენტის დასახელება	დაზიანება	რაოდენობა (ცალი)
1	კლასიკური ფანდური	დაზიანებულია წინა დაფა, გახსნილი აქვს ფანდურის უკანა ზედაპირის ნაჭრები. არა აქვს სიმები, დადამჭერები გამოსულია წყობიდან.	3
2	ხალხური ფანდური	არ ააქვს წინა დაფა, გახსნილი აქვს ფანდურის უკანა ზედაპირის ნაჭრები. არა აქვს სიმები, დადამჭერები გამოსულია წყობიდან.	1
3	ხალხური ჩონგური	დაზიანებული აქვს წინა დაფა, გახსნილი აქვს ჩონგურის უკანა ზედაპირის ნაჭრები. არა აქვს სიმები, დადამჭერები გამოსულია წყობიდან. გადაკეთდა კლასიკურ ჩონგურად (გაკეთდა შესაბამისი დანაყოფები)	4
4	ბას ფანდური	არა აქვს წინა დაფა, გახსნილი აქვს ჩონგურის უკანა ზედაპირის ნაჭრები. არა აქვს სიმები, დადამჭერები გამოსულია წყობიდან.	6
5	ფანდური (კონტრაბასი)	გახსნილი და დაზიანებულია ჩონგურის უკანა ზედაპირის ნაჭრები. არა აქვს სიმები, დადამჭერები გამოსულია წყობიდან.	1
6	ჩანგი	არა აქვს სიმები და გვერდები აღსადგენია	2
7	ჭუნირი	არა აქვს სიმები , ტყავები გასამაგრებელია	3
9	დოლი	ტყავი გახეულია არ ექვემდებერება შეკეთებას, გამოსაცვლელია.	1
10	დაირა	დაზიანებულია დაირის ფუძე გამოსაცვლელი.	2
	სულ;		23

მიმწოდებელი ი/მ ლევან ირემაძე

შემსყიდველი : ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი თამარ მესხიძე